სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დადგენილება №01-05-04/161

ქ. თბილისი 26 ივნისი 2018

სტუ-ის სამთო-გეოლოგიურ ფაკულტეტზე ემერიტუსის აკადემიური წოდების მისანიჭებელი ვაკანსიების კვოტის დამატების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის, სტუ-ის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის დეკანის, პროფ. ა. აბშილავას 2018 წლის 28 მაისის №01-09-33/2710 მოხსენებითი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2018 წლის 26 ივნისის №01-05-02/12 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. გაეზარდოს ემერიტუსის აკადემიური წოდების მისანიჭებელი ვაკანსიების კვოტა სამთო-გეოლოგიურ ფაკულტეტს 1 საშტატო ერთეულით 2018-2019 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან;
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **ა. ფრანგიშვილი**

აკადემიური საბჭოს მდივანი **გ. სალუქვაძე**